



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 209

“ 19 ” მაისი 2023 წ

## დ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.811; №72.16.23.938; №72.16.23.937; №72.16.23.219-ის ნაწილი; №72.16.23.936; №72.16.15.742; №72.16.23.980; №72.16.23.978; №72.16.23.977; №72.16.23.348-ის ნაწილი; №72.16.15.812; №72.16.15.808; №72.16.15.741; №72.16.23.979; №72.16.23.410; №72.16.15.907; №72.16.15.908; №72.16.15.909; №72.16.23.067; №72.16.23.068; №72.16.15.911; №72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 17 მაისის №23.705.785 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.811; №72.16.23.938; №72.16.23.937; №72.16.23.219-ის ნაწილი; №72.16.23.936; №72.16.15.742; №72.16.23.980; №72.16.23.978; №72.16.23.977; №72.16.23.348-ის ნაწილი; №72.16.15.812; №72.16.15.808; №72.16.15.741; №72.16.23.979; №72.16.23.410; №72.16.15.907; №72.16.15.908; №72.16.15.909; №72.16.23.067; №72.16.23.068; №72.16.15.911; №72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული №01223611235-67 (№01230753772-67; №01231183830-67; №01231313384-67; №01231361779-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.


2. წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმა მტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

3. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



## განკარგულება - N 23.705.785 17 / მაისი / 2023 წ.

ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.811; N72.16.23.938; N72.16.23.937; N72.16.23.219-ის ნაწილი; N72.16.23.936; N72.16.15.742; N72.16.23.980; N72.16.23.978; N72.16.23.977; N72.16.23.348-ის ნაწილი; N72.16.15.812; N72.16.15.808; N72.16.15.741; N72.16.23.979; N72.16.23.410; N72.16.15.907; N72.16.15.908; N72.16.15.909; N72.16.23.067; N72.16.23.068; N72.16.15.911; N72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 27 დეკემბერს N01223611235-67 (N01230753772-67; N01231183830-67; N01231313384-67; N01231361779-67) განცხადებით მიმართა ზურაბ წვერიკმაზაშვილმა (პ/ნ 01011004814) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.811; N72.16.23.938; N72.16.23.937; N72.16.23.219-ის ნაწილი; N72.16.23.936; N72.16.15.742; N72.16.23.980; N72.16.23.978; N72.16.23.977; N72.16.23.348-ის ნაწილი; N72.16.15.812; N72.16.15.808; N72.16.15.741; N72.16.23.979; N72.16.23.410; N72.16.15.907; N72.16.15.908; N72.16.15.909; N72.16.23.067; N72.16.23.068; N72.16.15.911; N72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.811; N72.16.23.938; N72.16.23.937; N72.16.23.219-ის ნაწილი; N72.16.23.936; N72.16.15.742; N72.16.23.980; N72.16.23.978; N72.16.23.977; N72.16.23.348-ის ნაწილი; N72.16.15.812; N72.16.15.808; N72.16.15.741; N72.16.23.979; N72.16.23.410; N72.16.15.907; N72.16.15.908; N72.16.15.909; N72.16.23.067; N72.16.23.068; N72.16.15.911; N72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის ჯამური ფართობია 91 635 კვ.მ. აქედან, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 86 500 კვ.მ. მუნიციპალიტეტის საკუთრება - (საკადასტრო კოდი: N72.16.23.219 - 7138 კვ.მ.) ნაწილი 975 კვ.მ; (საკადასტრო კოდი: N72.16.23.348 - 4252 კვ.მ.) ნაწილი 300 კვ.მ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ფართობი ჯამში - 3 860 კვ.მ. საპროექტო არეალში შემავალი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესაბამისი ნაწილებისა და დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ფართობი ჯამში შეადგენს 5 135 კვ.მ-ს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ), მცირე ნაწილზე- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

საპროექტო წინადადება დამუშავებულია, ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის



საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N165 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტის შესაბამისად.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ტერიტორიის ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლებით განაშენიანება, ასევე სარეკრეაციო სივრცეების, სკვერების მოწყობა.

საპროექტო ტერიტორია დაყოფილია 107 მიწის ნაკვეთად, საიდანაც 101 ნაკვეთი წარმოადგენს სამშენებლოს საცხოვრებელი სახლებისათვის, ორი მიწის ნაკვეთი გამოყოფილია საავტომობილო გზისთვის და მასზე გათვალისწინებულია ხატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), დანარჩენ 4 ნაკვეთზე კი მოწყობა სკვერი.

საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის შეზღუდვა. 4 მეტრიანი შეზღუდვის არეალი დაცულია სს „თელასის“ N0420/249/23-20/04/2023 წერილის შესაბამისად. თუმცა, ხაზის დაცვის ზონაში (20 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს) ყველა სახის საბუშაო უნდა შეთანხმდეს სს „თელასთან“, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით 20 მეტრის არეალში განთავსებულია შენობა-ნაგებობები, დობები და ხე/ნაგავები, შესაბამისად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე წარმოსადგენი იქნება სს „თელასის“ პოზიცია.

მიწის ნაკვეთების ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთები - 101 სამშენებლო მიწის ნაკვეთი

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 73 523 კვ.მ.

A1-A25, B1, B2, C1-C8, D1-D40, E1, F1, G1, G2, H1, J1, J2, K1, K2, L1-L9, M1, M2, N1, N2, P1, P2, P3, S1.

კ-1 = 0,5;

კ-2 = 0,8;

კ-3 = 0,4;

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები;

მაქსიმალური სიმაღლე - 9 მეტრი;

სართულიანობა - 2 სრული სართული.

მიწის ნაკვეთები - 4 მიწის ნაკვეთი

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 2 797 კვ.მ.

R1, R2, R3, R4.

კ-1 = - ;

კ-2 = - ;

კ-3= 0,8;

სამშენებლოდ მფლავადუდი - დასამგებია გამწვანება/სკვერი.

მიწის ნაკვეთები - 2 მიწის ნაკვეთი

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 15 315 კვ.მ

Q1, Q2.

კ-1 = - ;

კ-2 = - ;

კ-3 = 0,1;

საავტომობილო გზა.

Q1 - ვერძო საკუთრება - 10180 კვ.მ.

Q2 - მუნიციპალიტეტის საკუთრება და დაურეგისტრირებელი ტერიტორია- 5135 კვ.მ.

არსებული ფუნქციური ზონირება: სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ), მცირე ნაწილზე-სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

საპროექტო ფუნქციური ზონირება:

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 73 523 კვ.მ.

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 2 797 კვ.მ.

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 15 315 კვ.მ

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 51 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის

გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოყენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების ვეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 16 მაისის N01231363454 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების ვეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2023 წლის 17 მაისის N01231371743 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების ვეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 16 მაისის N61-01231363189 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, დაინტენსივებაში არსებული რეგისტრირებული და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები მოექცეს განაშენიანების რეგულირების ვეგმის საპროექტო არეალში, მიენიჭოს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), გამოიყოს ცალკე მიწის ნაკვეთად (სექტორი Q2 - 5135კვ.მ) და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2023 წლის 12 მაისის N01231313384-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

შემოადინშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.811; N72.16.23.938; N72.16.23.937; N72.16.23.219-ის ნაწილი; N72.16.23.936; N72.16.15.742; N72.16.23.980; N72.16.23.978; N72.16.23.977; N72.16.23.348-ის ნაწილი; N72.16.15.812; N72.16.15.808; N72.16.15.741; N72.16.23.979; N72.16.23.410; N72.16.15.907; N72.16.15.908; N72.16.15.909; N72.16.23.067; N72.16.23.068; N72.16.15.911; N72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების ვეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01223611235-67 (N01230753772-67; N01231183830-67; N01231313384-67; N01231361779-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:


1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.811; N72.16.23.938; N72.16.23.937; N72.16.23.219-ის ნაწილი; N72.16.23.936; N72.16.15.742; N72.16.23.980; N72.16.23.978; N72.16.23.977; N72.16.23.348-ის ნაწილი; N72.16.15.812; N72.16.15.808; N72.16.15.741; N72.16.23.979; N72.16.23.410; N72.16.15.907; N72.16.15.908; N72.16.15.909; N72.16.23.067; N72.16.23.068; N72.16.15.911; N72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების ვეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განამენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ურთი თვის გადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე





# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01231363454  
თარიღი: 16/05/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 16 მაისის №01231361779-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ თბილისში, ავთო ვარაზის პირველ შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 72.16.15.811; 72.16.23.937; 72.16.23.938; 72.16.23.936; 72.16.15.742; 72.16.23.980; 72.16.23.979; 72.16.23.410; 72.16.23.978; 72.16.23.977; 72.16.15.808; 72.16.15.741; 72.16.15.907; 72.16.15.908; 72.16.15.909; 72.16.23.067; 72.16.23.068; 72.16.15.911; 72.16.33.144; 72.16.15.812; 72.16.23.348-ისა და 72.16.23.219-ის ნაწილები, ასევე, ნაკვეთების მომიჯნავედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია; არსებული ფუნქციური ზონა: სასოფლო-სამეურნეო ზონა, მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და საცხოვრებელი ზონა 2; საპროექტო ფუნქციური ზონა: სზ-1, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი 5 ძირი ჯანსაღი (ს/კ: 72.16.23.348 - №1-5) ძეძვი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (საპროექტოდ დასარგავი: 28 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 96 ძირი ჰიმალაის კედარი, 28 ძირი იაპონური სოფორა, 28 ძირი იფანი ჩვეულებრივი და 58 ძირი კატალპა ნანა; ჯამში - 238 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (რზ-2 (სვერები) = 2 236,8 მ<sup>2</sup>; ტზ-1 = 1 531,6 მ<sup>2</sup>).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ფიქსირდება საზომრივი ნაგებობები (საპაერო გაზსადენი და ელექტროგადამცემი საზი, ასევე, წყალსადენის ქსელი), საჭიროა განმცხადებელმა გაითვალისწინოს მათ მიმართ დადგენილი შეზღუდვები, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება სხვა საზომრივი ნაგებობებიც, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი







ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01231371743  
თარიღი: 17/05/2023

2023 წლის 16 მაისის N 01231361779-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 72.16.15.811; 72.16.23.937; 72.16.23.938; 72.16.23.936; 72.16.15.742; 72.16.23.980; 72.16.23.979; 72.16.23.410; 72.16.23.978; 72.16.23.219; 72.16.23.977 და სხვა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 10 სექტემბრის N 01202543029-67 განცხადების პასუხად N 0120261721 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: 61-01231363189  
თარიღი: 16/05/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის  
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და  
ურბანული განვითარების სააგენტო  
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს  
ბატონ ვიქტორ წილოსანს

ბატონო ვიქტორ,

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2023 წლის 15 მაისის N16-01231352504 (15.05.23 N12-01231352829-61) წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხს. ვინაიდან, საპროექტო არეალი მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 72.16.23.219 (ნაწილი 975კვ.მ); 72.16.23.348 (ნაწილი 300კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებულ სივრცეს (3860კვ.მ), რომელთა გამოყენებაც იგეგმება საავტომობილო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, ითხოვთ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ვაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებული რეგისტრირებული და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში, მიენიჭოს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), გამოიყოს ცალკე მიწის ნაკვეთად (სექტორი Q2 - 5135კვ.მ) და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2023 წლის 12 მაისის N01231313384-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





